

ინგლისურენოვანი მხატვრული ლიტერატურით  
მოსწავლეების დაინტერესება

სტუდენტები:

ეკა გუტაშვილი

ლია რუხიაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე განათლების ადმინისტრირების  
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების  
შესაბამისად

*განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა*

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მაია ბიწაძე, განათლების დოქტორი

ილიას – სახელმწიფო – უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

## აბსტრაქტი

ხარისხიანი განათლების მიღება და თანამედროვე სამყაროში თავის დამკვიდრება შეუძლებელია უცხო ენის ცოდნის გარეშე. ვინაიდან, ბავშვებისთვის ცოდნისა და უნარების გადაცემას საფუძველი ფაქტიურად სკოლაში ეყრება, მნიშვნელოვანია, რომ იქ არსებობდეს კარგი პირობები სწავლისა და განვითარებისთვის. დღესდღეობით სკოლებში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს ინგლისური ენის შესწავლა, ამიტომ საჭიროა ამ ენის დაუფლებაში მაქსიმალური ხელშეწყობა.

აქედან გამომდინარე, წინამდებარე კვლევის მიზანს წარმოადგენდა შპს – ქართულ-ამერიკული უმაღლესი სკოლის ერთ-ერთი კლასის მაგალითზე ინგლისური ენის შესწავლის პროცესში შესაძლო დაბრკოლებების გამოვლენა, ენის შესწავლის ხელშემწყობი პროცესის დაგეგმვა და განხორციელება. კვლევისათვის კი გამოყენებული იქნა რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდები.

აღსანიშნავია, რომ პრაქტიკული კვლევის პერიოდში დაგეგმილი ინტერვენცია წარმატებით განხორციელდა, რის შემდეგაც, პედაგოგებმაც გამოთქვეს სურვილი და მზადყოფნა, რომ შეთავაზებულ მეთოდს მომავალშიც გამოიყენებენ.

### **ძირითადი თემატური სამიეზო სიტყვები:**

ინგლისური ენის შესწავლა, მხატვრული ლიტერატურა, ბიბლიოთეკა, მოსწავლეთა მოტივაცია.